პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 9 დეკემბერი, 1944 წ. № 247 (7200). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საკანდიდატო სტაჟი. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინის საუბარი საფრანგეთის მთავრობის მეთაურ გენერალ დე გოლთან (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 8 დეკემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება: მეშახტე კომუნისტი—ნოვატორები, სწავლობენ დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებას (მე-2 გვერდი).

მოკმზადებული შევხვდეთ ახალ საბრძოლო წელს (მე-2 გვერდი).

საქართველოს კვების მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები (1-ლი და მე-2 გვერდი).

საკანდიდატო სტაჟი

ბოლშევიკური პარტია თავის რიგებში იღებს მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ფრონტზე და ზურგში თავდადებული ბრძოლით და შრომით მოიპოვეს უფლება ატარონ ლენინ-სტალინის პარტიის წევრობის დიადი სახელი.

„ყველა პირი, ვისაც პარტიაში შესვლა სურს, — ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში, — გაივლის საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“.

საქართველოს მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერგად არის დაყენებული პარტიის წევრობის კანდიდატების აღზრდა. პარტიული ორგანიზაციები ეხმარებიან კანდიდატებს პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლის საქმეში, აძლევენ შესაფერის დავალებებს, კონკრეტულ სამუშაოებზე ამოწმებენ მათს პირად თვისებებს და ყოველივე ამის შედეგად თავის დროზე სწყვეტენ საკითხს, ღირსია თუ არა ესა თუ ის კანდიდატი მიღებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის წევრად. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კანდიდატებთან მუშაობას. გურჯაანის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხება 41 ახხანაგი, რომლებსაც კანდიდატობის 5 წლის სტაჟი აქვთ. ისგავსი მდგომარეობაა დუშეთისა და ბორჯომის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებშიც. რით შეიძლება ამ ფაქტის ახსნა, თუ არა იმით, რომ აღნიშნული პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ კანდიდატების აღზრდისათვის, კანდიდატთა პირადი თვისებების შემოწმებისა და ღირსეულთა პარტიის წევრად მიღებისათვის.

რა საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას და ტაქტიკას, იმაღლოს თავისი იდეური დონე?

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულია წრეები, სადაც კანდიდატები სწავლობენ საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამასა და წესდებას. გარდა ამისა, ამხანაგები, რომლებსაც სათანადო მომზადება აქვთ, პროგრამასა და წესდებას დამოუკიდებლად სწავლობენ. ლექციები პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებზე დიდ დახმარებას უწევენ კანდიდატებს. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წელს კანდიდატებისათვის მოაწყო ლექციები თემებზე: „რა არის პარტია და როგორ შეიძლება იგი“, „პარტიის წევრის უფლება-მოვალეობანი“, „როგორია პარტიაში მიღების წესი“ და სხვ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად აწყობს კანდიდატებთან საუბრებს საინტერესო საკითხებზე, მაგალითად, „რას მოითხოვს პარტია კომუნისტებისაგან სამამულო ომის პერიოდში“, „კომუნისტების მოვალეობა წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში“ და სხვ.

კანდიდატთა იდეური დონის ამაღლება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. საკანდიდატო სტაჟმა უნდა უზრუნველჰყოს კანდიდატის პირად თვისებათა შემოწმება, იმის გამორკვევა, შეიძლება თუ არა მიღებულ იქნას იგი ბოლშევიკური პარტიის წევრად. ადამიანის პირადი თვისებების შემოწმება ამჟამად იმის მიხედვით ხდება, თუ რას აკეთებს იგი ფრონტისათვის, რა მოღვაწეობას იღებს გერმანელი ფაშისტი ავაზაკების განადგურების საქმეში. კომუნისტი მოვალეა არა მხოლოდ თვითონ მუშაობდეს კარგად და გადაჭარბებით ასრულებდეს დავალებებს, არამედ მასებიც გაიყოლიოს. კომუნისტი პასუხისმგებელია თავისი მეზობლის საქმიანობისათვისაც, ბრიგადის, ბაამქრის მუშაობისათვისაც. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ნ. კვინიკაძე მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავედ ითვლება, გამომუშავების ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ ბრიგადა, რომელშიც იგი მუშაობს ჩამორჩება. ბრიგადაში ხშირად ირღვევა შრომის დისციპლინა, სუსტად არის დაყენებული საორგანიზაციო მუშაობა. განა ამხ. კვინიკაძეს შეუძლია სთქვას, რომ იგი ბრიგადაში ასრულებს კომუნისტის წამყვან, დამრაზმავ როლს? ცხადია არა.

კომუნისტი ყველგან მოწინავე უნდა იყოს. მან მასებს უნდა უჩვენოს ინიციატივის, ძნელი ამოცანების გადაჭრის გზები. ბრძოლის მაგალითი. ამ მხრივ საინტერესოა ხაშურის რკინიგზის კვანძის ახალგაზრდა კომუნისტების ინიციატივა. მიმდინარე წლის ზაფხულში ხაშურელი რკინიგზელების წინაშე ასეთი ამოცანა დაისახა: საჭირო იყო ნადავლი ვაგონების შეკეთება. ახალგაზრდა კომუნისტებმა დარაზმეს და პირადი მაგალითით აღაფრთოვანეს უპარტიო აქტივი და სამ თვეში სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ორასზე მეტი ვაგონი შეაკეთეს. კომუნისტების ინიციატივით ხაშურელმა რკინიგზელებმა უარი განაცხადეს კომპლექსური ბრიგადების დახმარებაზე და საკუთარი ძალით შეაკეთეს ორთქლმავლები. ამის შედეგად განთავისუფლებულ და სხვა სამუშაოზე გადაყვანილ იქნა შრავალი მუშა, ხოლო 7 ზენიკალი ბაქოს საორთქლმავლო დეპოს დაუბრუნდა.

საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს კანდიდატის პირადი თვისებები უნდა მოწმდებოდეს პარტიულ, საზოგადოებრივ სამუშაოზეც. პარტიული დავალების შესრულებისას კანდიდატი დისციპლინას ეჩვევა, თავის ორგანიზაციულ ნიჭს ავითარებს, მასების წინამძღოლი ხდება. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციაც. რით შეიძლება ამ ფაქტის ახსნა, თუ არა იმით, რომ აღნიშნული პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ კანდიდატების აღზრდისათვის, კანდიდატთა პირადი თვისებების შემოწმებისა და ღირსეულთა პარტიის წევრად მიღებისათვის.

პარტიის წევრობის კანდიდატების პოლიტიკური აღზრდის, მათი ბოლშევიკური გამოწრთობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შესწავლა ამხანაგ **სტალინის** მოხსენებისა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ.

ამხანაგ **სტალინის** მიერ დასახული ამოცანები ჩვენი მუშაობის პროგრამას წარმოადგენენ. ამ დიადი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში უნდა გამოვლინდეს პარტიის წევრობის კანდიდატის პირადი თვისებები. მისი მზადყოფნა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მისაღებად.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

8 დეკემბრის განმავლობაში **უნგრეთის** ტერიტორიაზე **ბალატონის** ტბასა და მდინარე დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შარაშდი, შარკერესტური, კალოზი, აბა, შოკონია, ჩესი, მეზოსენტდიერდი, ლეპშენი, ბალატონფეკაიარი და რკინიგზის სადგურები შარაშდი, აბა, შარკერესტური, კიშჩერი, ლეპშენი. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც უტევენ **ბალატონის** ტბასა და მდინარე დრავას შუა დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები საბაში, ნადკორპადი, რინიასენტკირალი, ბაკხაზა, შოშოდი, არაჩი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

7 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 33 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში ბალატონის ტბასა და მდინარე დუნაის შუა ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მტერი, რომელიც წინააწყრო მოშზადებულ თავდაცვის ზღუდეს ეყრდნობოდა, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ნ შენაერთის ნაწილებმა წარმატებითი მებრძოლი მოახდინეს, სოლოვით შეიჭრნენ მტრის თავდაცვაში და დაიკავეს რკინიგზების კვანძი შარაშდი. ბალატონის ტბასთან ჩვენმა ჯარებმა განდევნეს გერმანელები საკვანძო რკინიგზის სადგურ ლეპშენიდან. ამ სადგურზე ხელთ ვიგდებთ 80 ვაგონი ტვირთიანად და სამხედრო საწყობები. საბჭოთა ნაწილებმა წარმატება განაგითარეს და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი ბალატონფეკაიარი, რომელიც 22 კილომეტრზე მდებარეობს უნგრეთის დიდ ქალაქ სეკესფეჰერვარის სამხრეთ-დასავლეთით.

ბალატონის ტბასა და მდინარე დრავას შუა მოწინააღმდეგემ, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა, 20-ზე მეტ კონტრიერიში მოატანა. საბჭოთა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს ყველა კონტრიერიში, სპასუხო დარტყმები მიაყენეს მტერს და 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს, ერთი დიდ ბრძოლების განმავლობაში გაელეტილია 1,500-მდე ჰიტლერელი. გერმანელებს წვავთვით 3 ტანკი, თვითმფრინავი, 22 ქვემეხი და სხვა დაეკა. ტყვედ წამოყვანილია 300 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ იეცვავის (მიტავის) დასავლეთით მოწინააღმდეგის ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. გაიმართა ბრძოლა, რომლის შედეგადაც გერმანელები უკუგდებულ იქნენ. ჩვენი პოზიციების წინ მტრის 200-მდე გვამი დარჩა. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 3 დაზგის ტყვიამფრქვევი და ტყვიები.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე საარტილერიო სროლა სწარმოებდა. საბჭოთა კავშირის გმირ მამაცახლის ბერეუნოის ქვემეხის გუნდმა, რომელიც მტრის პოზიციებს უშენდა, ჩაახშო მტრის რამდენიმე საცეცხლე წერტი და გაანადგურა გერმანელთა ოცეული. მესანგრეთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ იმრენკოს მეთაურობით გასასვლელი გააკეთა ნაღმიან ველზე, მივიდა გერმანელთა სანგრებთან და გრანატება დაუყარა მათ. საბჭოთა მესანგრეებმა გაანადგურეს 12 ჰიტლერელი და დაუზარალებლად დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი 19 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

უნგრეთში, მდინარე დუნაისთან წითელარმიის მხარეზე სრული შეჯადგებლობით გადმოვიდა უნგრელთა 51-ე ქვეითი პოლკი და მისი მეთაური პოლკოვნიკი ბატია. ტყვედ დაგვნებდა 29 ოფიცერი და 1.390 ჯარისკაცი. პოლკმა გადმოგვცა თავისი იარაღი, საბრძველი, აღლუები და სამხარეულოები. ტყვე პოლკოვნიკმა ბატამ განაცხადა: „თავდაცვის დაკავების შესახებ ბრძანება რომ მივიღე, თავი მეუყარე ოფიცრებს სათათბიროდ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვიტეთ ხელი ავაღოთ უაზრო წინააღმდეგობაზე და მთელი პოლკი ტყვედ დავნებებოდით“.

უნგრელთა 25-ე ქვეითი დივიზიის 26-ე პოლკის მე-3 ბატალიონის ტყვედ წამოყვანილმა მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ენე პეტეულნამ განაცხადა: „როცა ვცდილობდი თავი დამეღწია გარემოცვისათვის, ტყვედ ჩამიგდეს შტაბის ჯგუფთან ერთად. ბატალიონი ძირითად სფქტემბრის დამლეგს. მაშინ ბატალიონში 500-მდე კაცი ითვლებოდა. პირველსავე ბრძოლებში დიდი ზარალი მოგვივიდა. ხოლო როცა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა გაიგეს, რუსთა ჯარებმა უნგრეთის უდიდესი ქალაქები დაიკავესო, ყველამ ყურები ჩამოყარა. ჩვენ შევიგნეთ ჩვენი მდგომარეობის მთელი უიმედობა“.

უნგრელთა მე-2 სამთო-მსროლელი ბრიგადის მე-13 მესაზღვრე ბატალიონის 1-ლი ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ოცეულმა ოფიცერმა ბიჭარიმ განაცხადა: „როცა მოწინავე პოზიციაზე მოვედით, მე-2 ბრიგადის მეთაურმა სიტყვით მოგვმართა. მან სთქვა: „თქვენ სპეციალური სწავლა მიიღეთ და იცით მთაში ომი. ყოველ თქვენგანს, ვინც გაიქცევა, საკუთარი ხელით დავხვრეტ...“ ბრძოლებში ჩვენი ბატალიონი განადგურებულ იქნა. მასში სულ 60 კაცი დარჩა. სარდლობამ ზურგში გადაგვიყვანა. ბატალიონმა შეავსება მიიღო სხვადასხვა ოამარცხებული ნაწილიდან. მალე ისევ ფრონტზე გაგვგზავნეს. ფრონტზე ჩვენთვის ნაცნობი სურათი ვიხილეთ. ნაწილები გარეცვის შიშით უწესრიგოდ იხევდნენ უკან. ჩვენც უკან ვიხევდით. ღამით რუსებმა იერიში მოიტანეს ჩვენზე. ჩვენ აღარ გვინდოდა საფრთხეში ჩაგვეგდო სიცოცხლე გერმანელებისათვის და მთელი ათეული ტყვედ დაგვნებდით“.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაიას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ



საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკური პარტიის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მრავალი წლის ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე **ცხაკაია** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოგრკინი

მოსკოვი, კრემლი.

1944 წლის 8 დეკემბერი.

სამშობლოში!

ვიბორგი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე მოვიდა საბჭოთა მოქალაქეების პირველი ეშელონი, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან ფინეთიდან, სადაც ისინი ძალად იყვნენ წაყვანილნი გერმანელებისა და ფინელების მიერ. ეშელონში 602 კაცია. ყველა დაბრუნებული ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეა. საზღვარზე მათ გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები.

რამდენიმე საათის შემდეგ რკინიგზის შემადგენლობა ვიბორგისაკენ გაემართა. ორთქლმავალზე ამხანაგ სტალინის პორტრეტის გვერდით არის დიდი ტრანსპარანტი წარწერით: „გამარჯობა სამშობლოვ! მადლობა სტალინს!“. ყველა ვაგონიდან დაღლილი, მაგრამ გაბარებული ადამიანები იცქირებიან. სამშობლო ქვეყანაში დიდი ხნის ნანატრი დაბრუნებით აღელვებული ადამიანები არაერთგზის უსურვებენ ჯანმრთელობას და „გაშას“ შესძახიან ამხანაგ სტალინს და განმათავისუფლებელ წითელ არმიას.

სადღესასწაულოდ მორთულ მაედანზე შესდგა ხანმოკლე მიტინგი. სიტყვას ამბობს ვრასნოე სელოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლუსტკოვიცის“ კოლმეურნე ოსიპ ფილიპეს-ძე ხარპე. მისი ორი ვაჟი ფრონტზე ურტყამენ ფაშისტებს. ყველა მოსულთა სახელით ხარპო დიდი მადლობის სიტყვებით მიმართავს საბჭოთა მეომრებს და დიდ სტალინს განთავისუფლებისა და მზრუნველობისათვის.

ყველა მოსულმა მიიღო ცხელი საჭმელი, ბროშურები და გაზეთები. დიდი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის წარმომადგენლებმა. მათ მოაწყეს სანიტარული პუნქტები, წითელი ჯვრებები, საცნობარო კიოსკები და სხვ.

საღამოს ეშელონმა გზა განაგრძო.

ქრონიკა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვასილ პროხორის-ძე **პროზინი** დანიშნა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საბერძნეთის მდგომარეობის საკითხის განხილვა თემთა პალატაში

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს თემთა პალატაში კამათი საბერძნეთის მდგომარეობის საკითხზე იმით დაიწყო, რომ ლეიბორისტმა სეიმურ კოქსმა შეიტანა მეფის ამჟამინდელი სიტყვის პასუხის შესწორება. შესწორებაში გამოთქმულია სინანული, რომ სიტყვა არ შეიცავდა დარწმუნებას იმის შესახებ, რომ ინგლისის ჯარები არ იქნება გამოყენებული „საბერძნეთში და ევროპის სხვა ნაწილებში დემოკრატიის მეგობართა განსაიარაღებლად ანდა იმ საბაბით მოძრაობის ჩასახშობად, რომელიც მაშაცურ დახმარებას უწევდა მტრის განადგურების საქმეს“.

„ამჟამად, — სთქვა კოქსმა, — ათენის წმიდა მიწაზე აკროპოლის კედლებთან ერთად წვანან მკვდარი ინგლისელი ჯარისკაცები და ბერძენი პატრიოტები, რომელნიც დაიხოცნენ მოკავშირეთა იარაღით გასროლილი ტყვიებით. ვთხოვ პარლამენტს დაუყოვნებლივ მოუღოს ბოლო ამ ძმათამკვლელ ბრძოლას. ამ უკანასკნელ ხანს ზოგიერთ ჩვენგანს ჰგონია, რომ რამდენადაც გამარჯვება მოახლოებულია, ინგლისელები თავიანთ პოლიტიკაში მიდრეკილებას იჩენენ მხარი დაუჭიროს ევროპაში ბევრ ძველ, დრომოჭმულ რეჟიმს ხალხის ახლად წარმოშობილი ძალების წინააღმდეგ. ამის მაგალითებს ჩვენ დავინახეთ ამას წინათ ბელგიასა და იტალიაში“. კოქსმა წინადადება შეიტანა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ან სხვა მინისტრი გაფრინდეს ათენს, რათა მოიწვიოთ სხვადასხვა პარტიისა და ლიდერთა კონფერენცია ნაციონალური მთავრობის შესაქმნელად. ჯერჯერობით კი უნდა გამოცხადდეს დროებითი ზავი და ინგლისის ჯარები გაყვანილ იქნას ქალაქის ჭიშკრებიდან. შემდეგ საჭიროა შეიქმნას პირობები არჩევნებისა და პლებისციტისათვის, რომლის მეოხებითაც გადაწყდება მეფის დაბრუნების საკითხი.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა, უპასუხა რა საბერძნეთის მდგომარეობასთან დაკავშირებით მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებულ პასუხს, განაცხადა: „მთავრობა ნდობის ღირსი არ იქნებოდა, თუ იგი მისი უდიდებულესობის ჯარებს გამოიყენებდა დემოკრატიის მეგობართა განსაიარაღებლად საბერძნეთსა და ევროპის სხვა ნაწილებში“.

შეეხო რა დემოკრატიის საკითხს ჩერჩილმა სთქვა, რომ დემოკრატიას ვერ მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომელნიც შეიარაღებული არიან „ვაზას იკაფავენ დიდ ქალაქებში, ხელში იგდებენ პოლიციის სამმართველოებს და მთავრობის მთავარ დაწესებულებებს“. ჩერჩილმა სთქვა, რომ ქვეყნები უნდა განთავისუფლდეს გერმანიის უკიაარაღებულ ძალებისაგან და მხოლოდ ეს შეიძლება იყოს სწორი მოქმედებისა და სამართლიანობის საფუძველი.

ნაციონალ-ლიბერალმა ჰაროლდ ნიკოლსონმა განაცხადა, რომ საბერძნეთის ყველა არაოფიციალური ორგანიზაცია უნდა განიარაღებულ იქნას და მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა წარგზავნოს მინისტრი, რათა უთხრას ბერძნებს: შეისწყვიტეთ ერთმანეთის წინააღმდეგ ჩხუბიო.

დემოკრატიდელმა კლემენტ დევისმა მოიწონა პრემიერ-მინისტრის მიერ მოცემული დახასიათება დემოკრატიისა. იგი შეჩცდა მხოლოდ, სთქვა დევისმა, როცა მოკავშირე ერებს მიერ საბერძნეთში ჩამოყალიბებულ მთავრობაზე ილაპარაკა. როგორც კონსტიტუციურ მთავრობაზე. დევისის აზრით, მთავრობა უფრო ბრძნულად მოიქცეოდა, ინგლისს რომ პასუხისმგებლობა ეკისრნა საბერძნეთში.

საბერძნეთში

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, გუშინ ათენსა და პირეაში მთელ დღეს გრძელდებოდა ბრძოლები, ერთის მხრივ ინგლისელთა და საბერძნეთის მთავრობის ჯარებს და, მეორე მხრივ, **ელასის** („ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ — **ეამის** სამხედრო ორგანიზაცია) რაზმებს შორის. გენერალმა სკობიმ გამოაცხადა, რომ ინგლისელთა ჯარებმა წინ წაიწიეს რამდენიმე რაიონში. გუშინ პირეაში გადასხდა საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმი, რათა გაუსწორდეს სნაიპერებს. დღისით პირეის ნავსადგურში მდგარი ბრიტანეთის საესკადრო ნაღმოსანი ესროდა დასაყრდენ პუნქტებს, სადაც, როგორც ფიქრობენ, თავმოყრილია პარტიზანთა დიდი ძალები. ზოგიერთ ადგილას პარტიზანები შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევიან. გუშინ ბრძოლებში მონაწილეობა მიიღეს ინგლისელთა ტანკებმა და არტილერიამ. რამდენიმე თვითმფრინავი ტყვია-მფრქვევს უშენდა პარტიზანებს.

ეამის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პაპანდრეუმ არ შეასრულა ვალდებულებანი გამცემთა დასჯისა და მთავრობის დაწესებულებებიდან კვისლინგელთა განდევნის შესახებ. **ეამის** განცხადებაში ნათქვამია ავრეთვე, რომ საბერძნეთში კვლავ არსებობს გერმანელების მიერ შედგენილი შეიარაღებული ძალები.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საბერძნეთის საკითხზე თემთა პალატაში გამართულ კამათში მემარცხენე პარტიის „კომონველების“ ლიდერმა რიჩარდ ეკლენდმა მხარი დაუჭირა კოქსს და განაცხადა, რომ ბერძნები ერთმანეთში ჩხუბობენ იმიტომ, რომ არადემოკრატიულად განწყობილ პოლკოვნიკ ზერვას მხარს უჭერდნენ ინგლისელები იარაღისა და ფულის საშუალებით საბერძნეთში წარმოებული ნამდვილი სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ.

ლეიბორისტმა პარკერმა განაცხადა, რომ მთავრობის ახლანდელი მოქმედება არის გარკვეული დარღვევა ინგლისის მიერ მიცემული პირობისა იმის შესახებ, რომ ბერძნებს მიენიჭებათ უფლება აირჩიონ საკუთარი მთავრობა სრული თავისუფლების პირობებში.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა ს ილ გრაიბერგმა განაცხადა, რომ ჩერჩილი „მსოფლიო სახოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მიდის“.

პარლამენტის კონსერვატიულ წევრთა რეფორმისტული კომიტეტის ერთ-ერთმა ლიდერმა კვინტინ ჰოგმა მოწოდებით მიმართა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ შეუერთდნენ მას და მოითხოვონ მთავრობისაგან აღადგინოს პატივისცემა კანონისა და ხელისუფლებისადმი მთელ ევროპაში, ვინაიდან მხოლოდ ეს შეიძლება იყოს სწორი მოქმედებისა და სამართლიანობის საფუძველი.

ნაციონალ-ლიბერალმა ჰაროლდ ნიკოლსონმა განაცხადა, რომ საბერძნეთის ყველა არაოფიციალური ორგანიზაცია უნდა განიარაღებულ იქნას და მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა წარგზავნოს მინისტრი, რათა უთხრას ბერძნებს: შეისწყვიტეთ ერთმანეთის წინააღმდეგ ჩხუბიო.

დამოუკიდებელმა კლემენტ დევისმა მოიწონა პრემიერ-მინისტრის მიერ მოცემული დახასიათება დემოკრატიისა. იგი შეჩცდა მხოლოდ, სთქვა დევისმა, როცა მოკავშირე ერებს მიერ საბერძნეთში ჩამოყალიბებულ მთავრობაზე ილაპარაკა. როგორც კონსტიტუციურ მთავრობაზე. დევისის აზრით, მთავრობა უფრო ბრძნულად მოიქცეოდა, ინგლისს რომ პასუხისმგებლობა ეკისრნა საბერძნეთში.

საქართველოსა პროფკავშირული კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენციის მოსამზადებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი დღის წესრიგი, რომელიც უნდა მოიწონოს საერთაშორისო კონფერენციამ:

1. დახმარება მოკავშირეთა სამხედრო ღონისძიებებისადმი.

2. პროფკავშირთა პოზიცია მომავალი სავაჭრო შეთანხმების მიმართ, მაგალითად, შემდეგი საკითხების შესახებ: საყოველთაო მშვიდობიანობის საერთო ორგანიზაცია, მოკავშირეების მიერ იმ ქვეყნების ოკუპაცია, რომლებიც წინათ ოკუპირებული ჰქონდა მოწინააღმდეგეს, რეპარაციები, გერმანიისადმი მოპყრობა, საზავო კონფერენციაზე და დახმარების გაწევის. აღდგენისა და ომისშემდგომი რეკონსტრუქციის საკითხთა მოსამზადებელ კომისიებსა და კონფერენციებში პროფკავშირების წარმომადგენლობა.

3. განსაზღვრა საფუძვლისა პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის შესაქმნელად.

4. პროფკავშირების უპირველესი მოთხოვნები ომისშემდგომი პერიოდის შესახებ.

5. ომისშემდგომი რეკონსტრუქციის პრობლემები: სოციალურ და ეკონომიურ მოთხოვნათა საერთო პრინციპები ნაციონალური და საერთაშორისო გეგმის მიხედვით, მუშახელის სოციალური უზრუნველყოფისა და სრული გამოყენების ძირითადი პრინციპები.

კომიტეტს ამფუძველი აქვს იფიქროს, რომ კონფერენციის რომელიც 1945 წლის თებერვალში შეხდგება, დაესწრება დაახლოებით 150 დელეგატი, რომლებიც იქნებიან 40 ნაციონალური პროფკავშირული ორგანიზაციისა და 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელნი.

საქართველოს ერთგული ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინის საუბარი საფრანგეთის მთავრობის მეთაურ გენერალ დე გოლთან

8 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე გენერალ დე გოლთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირში ბ-ნი რ. გარო.

სახალხო სახლები დაჭვრის ქალაქებსა და სოფლებში

ლატვიის ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნა 176 სახალხო სახლი. აღგილობრივი მცხოვრებლები ისმენენ ლექციებსა და საუბრებს, ჯანობაან საბრძოლო ომის ფრონტების უკანასკნელ ამბებს, მონაწილეობენ მხატვრული თვითმოქმედების საღამოებში.

სახალხო სახლებთან სოფელ აღგილას გლეხებისათვის ეწყობა კონსულტაციები აგროტექნიკასა და მეცხოველეობაში. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

მეშახტე კომუნისტი—ნოვატორები

დიდი სტალინის სოციტომბრო მოხსენებითი და ბრძანებით აღფრთოვანებული ტყიბულელი მეშახტეები ყოველდღიურად ადიდებენ ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის. მეშახტე კომუნისტები მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან.

სამამულო ომის პერიოდში ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლამ კიდევ უფრო გაზარდა ტყიბულელ მეშახტეთა ინიციატივა და მოსწრაფება ტექნიკური ბაზრის წინწაწევისაკენ. რაციონალიზატორულ და საქმიან წინადადებათა წამოყენებისა და მათი განხორციელების საქმეში კომუნისტი მეშახტეები მოწინავენი არიან.

კომუნისტმა ინჟინერმა ა. აბაანდაძემ წინადადება შეიტანა, რომ აგებულიყო ორთქლის როტაციული მანქანა სატრანსპორტო და სტაციონარული საჭიროების მიხედვით გამოსაყენებლად. ახალგაზრდა ინჟინერის ეს წინადადება ტექნიკურმა კომისიამ სასარგებლოდ სცნო და დაიწყო მისი განხორციელება. ამხ. აბაანდაძეს აქვს მეორე წინადადებაც. იგი ეხება ავტომანქანის კარბურატორის მარტივი კონსტრუქციით დამზადებას. ეს წინადადება მოწონებულია და კარბურატორის დამზადება სწარმოებს „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის ცენტრალურ ელექტრომექანიკურ სახელოსნოში. ამასთან ამხ. აბაანდაძე წარმატებით მუშაობს ახალი კონსტრუქციის ელექტრობურღის მოწყობილობაზე ქვანახშირის სანგრევებში გამოსაყენებლად.

ძვირფას რაციონალიზატორულ წინადადებას აძლევიან სამთო ტექნიკოსები და წამყვან პროფესიებზე მომუშავე კომუნისტები.

სტალინის სახელობის შახტში ქვანახშირის ნგრევის ოსტატმა მედალოსანმა ი. ქათამაძემ შახტის ხელმძღვანელობას. მიმართა წინადადებით, რომ ქვანახშირის მეექვსე ფენში წყალი ამოტუმბვის მაგიერ, კვებრძლანით გაეშვათ ძველ გამონამუშევრებში. ეს წინადადება განხორციელებულ იქნა, რამაც მთლიანად გათავისუფლა ამოსატუმბი მოწყობილობანი და 6 მუშის ყოველდღიური ეკონომია მოგვცა. ამხ. ქათამაძის მეორე წინადადებით საკნის პირში მოეწყო ქვანახშირის სატვირთავი კოდი, რამაც, მოუხედავად ნაკლები მუშახელისა, ერთიორად დააჩქარა ვაგონების ქვანახშირით დატვირთვა.

მეშვიდე საექსპლოატაციო უბანში მონგრეული ქვანახშირი შახტის ზედა ამოსასვლელით ამოქმონდათ. აქ ზედმეტად ბანდიებოდა მუშახელი და ძრავები, იხარჯებოდა ზედმეტი ელექტროენერგია. კომუნისტ შ. კაკაბაძის წინადადებით გადაწყდა მე-7 უბნის ქვანახშირი ჩაშვებულიყო ძირა ჰორიზონტზე, სადაც გარეთ გამოსახადად გროვდება სილრმიდან ამოღებული ქვანახშირი. ამ წინადადების განხორციელებამ შახტს საშუალება მისცა ყოველდღიურად 100 ტონამდე ქვანახშირი გამოეღო ორჯერ ნაკლები მანქანა-მოწყობილობისა და მუშახელის გამოყენებით. ამხ. კაკაბაძის წინადადებით ასეთივე მეთოდით დაიწყო ქვანახშირის გამოტანა მე-8 საექსპლოატაციო უბნიდან.

შახტის ბუნკერის გამტარუნარიანობა ვერ უზრუნველჰყოფდა გეგმის ზევით ამოღებული ქვანახშირის მიღებას. ამან ბევრჯერ გამოიწვია შეფერხება. ქვანახშირის გარეთ, ღია ცის ქვეშ ჰყრიდნენ რაც იწვევდა მისი ხარისხის დაცემას. მექანიკოსმა ვ. ივანენკომ შეიტანა წინადადება ტრანსპორტის სიჩქარის გადიდების შესახებ. ამ წინადადების განხორციელების შედეგად ბუნკერის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 150 ტონამდე გაიზარდა. ასევე აფერხებდა ქვანახშირის სწრაფად გამოზიდვას ელმავლებისათვის სამარაგო გენერატორების ნაკლებობა. იყო შემთხვევები, როცა გენერატორის შესაკეთებლად საჭირო დროის პერიოდებში შახტიდან მონგრეული ქვანახშირის გაზიზიდვა შეჩერებული იყო. გენერატორის რემონტის დროს შეფერხების თავიდან ასაცილებლად ელექტროდენის უფროსმა ამხ. მ. ჭელიშვილმა შეიტანა წინადადება, რომ ელექტროენერგიის ზსელი ჩართულიყო სინქრონის გამომრთველით. ამ წინადადების განხორციელებით თავიდან აცილებულია ელმავლებით გამოწვეული შეფერხებანი. ლენინის სახელობის შახტში სამთო ტექნიკოსმა ამხ. ლ. ვაშაკიძემ შახტის ხელმძღვანელობას მიმართა წინადადებით, რომ ქვანახშირის ამოღების გასაადიდებლად სამთო გამონამუშევრების ხვრელის აჩრით გამოეღოთ „ა“ უბნის ზედა ნაწილში ძველ დროს დარჩენილი ქვანახშირი. ეს წინადადება განხორციელდა რის შედეგად უბანმა სამშობლოს მისცა რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი. ამხ. ვაშაკიძის წინადადებით გახსნილი სანგრევები ამჟამად ას ტონამდე ქვანახშირს იძლევა დღე-ღამეში და, როგორც სპეციალისტების გამოანგარიშებით ირკვევა, ეს რამდენიმე თვეს გასტანს. სამთო ტექნიკოს ამხ. დ. უუბანეიშვილის უბანი 2 კილომეტრით არის დაშორებული შახტის ეზოს, ამიტომ უუბანეიშვილის უბნიდან ამოღებული ნახშირი ავტომანქანებით უნდა გადმოზიდულიყო ქვანახშირის სატვირთავამდე. ამხ. უუბანეიშვილმა წინადადება შეიტანა, რომ შახტის ძირა ჰორიზონტებიდან ძირს უბნამდე აეჭრათ სამთო გამონამუშევრების ხვრელი. რომლითაც ჩამოუშვებდნენ უბნის ქვანახშირს. ეს წინადადება, რომელიც ყოველდღიურად რამდენიმე ავტომანქანისა და ათეული მუშახელის ეკონომიას იძლევა, შეიტანეს და ახლა მის განსახორციელებლად მუშაობენ.

კომუნისტი ზეინკლების — კ. ბოჭორიშვილისა და მ. სოფრომაძის წინადადებით მოხდა მექანიკური საამქროსა და მოძრაობის უბნის მთავარი გზის ურთიერთდაკავშირება რკინიგზით, რის შედეგადაც ძრავებისა და სარემონტო ვაგონების გადაადგილებაში მნიშვნელოვნად გადიდდა. ამხ. მ. სოფრომაძის წინადადებით და პრაქტიკული ხელმძღვანელობით მოხდა აგრეთვე ნახევარტონიანი ვაგონეტების ნაცვლად ვერტიკალური შახტში ერთტონიან ვაგონების ჩაშვება, რაც ერთიორად ადიდებს ძირა ჰორიზონტიდან ქვანახშირის ამოღებას.

ბევრი საინტერესო წინადადების ავტორია ქვანახშირის ნგრევის პირველი კლასის ოსტატი კომუნისტი ი. გაბრიაძე, რომელიც 35 წელზე მეტია მუშაობს შახტაში, მას ეკუთვნის რამდენიმე ათეული რაციონალური წინადადება. მისი პირველი წინადადება — ქვანახშირის დამახარისხებელი ცხრილების მოწყობის შესახებ ჯერ კიდევ 1926 წელს იქნა განხორციელებული. ი. გაბრიაძის წინადადებით ლენინის სახელობის მაღაროში მოეწყო ქვანახშირის სატვირთავი ბუნკერები, რამაც შახტს თავიდან ააცილა სარკინიგზო ვაგონების ხშირი მოცდენა და მისცა მუშახელის მნიშვნელოვანი ეკონომია. ახლა 50-ტონიანი სარკინიგზო ვაგონი 2-3 საათის ნაცვლად 15-20 წუთში იტვირთება. მას ეკუთვნის აგრეთვე წინადადება შახტაში ვაგონების საბრუნავი ნაწილის გაფართოების შესახებ. რის შედეგადაც გზებზე ვაგონების აცდენა აღარ ხდება. წინადადება — ნაცრალის მთიდან შაორის წყლის გადმოყვანის შესახებ ამჟამად განხორციელების პროცესშია.

შახტების პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და დახმარება გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისადმი. საშახტო პარტიული ორგანიზაციები ხშირად იხილავენ ამ საკითხს როგორც პარტბიუროს სხდომებზე, ისე საერთო კრებებზე. გულისხმიერად ეპყრობიან გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს სტალინის სახელობის შახტის ხელმძღვანელები, ლენინის სახელობის შახტის მე-3 და მე-5 უბნის უფროსები ამხ. ვაშაკიძე და ფანჩულიძე და სტალინის სახელობის შახტის პირველი უბნის უფროსი ამხ. შ. შოთაძე. ამხ. შოთაძის უბანმა მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შახტების პარტიულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ უფრო მეტად იზრუნოს ტექნიკური ბაზის პროგრესისათვის, გამოავლინოს ნოვატორები, ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მათ თავიანთი წინადადების განხორციელების საქმეში და ამით ხელი შეუწყოს მეტი ქვანახშირის ამოღებას. ამას გვავალებენ ის დიდი ამოცანები, რომელიც დაგვისახა თავის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებაში დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

ე. ჯვებელავა

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი



ნ საარტილერიო ჭარხანაში. ქვემებების ლულების დამუშავება.
ფოტო ფ. კოლოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მომზადებული შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ყველა პირობა გააჩნია ნორმალური მუშაობისათვის. ფაბრიკას საკმაოდ ჰყავს კადრის მუშები, ქსოვის, რთვისა და აპრეტურის მაღალკვალიფიციური ოსტატები. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფაბრიკას დიდი ჩამორჩენა ჰქონდა. გეგმას ვერ ასრულებდა ვერც ერთი საამქრო.

წლის მეორე ნახევრიდან დასახულ და გატარებულ იქნა ღონისძიებები, რომელმაც ერთგვარი გარდატეხა გამოიწვია ფაბრიკის მუშაობაში. ივნისიდან უკვე ყველა საამქრო აღწევს გეგმების შესრულებას. საოქტომბრო შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცების შედეგად ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა ნოემბერში გეგმის გადამეტებით 15 ათასი მეტრი ძვირფასი ქსოვილი მოგვცა.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის უკანასკნელი თვის გეგმა შეასრულოს 28 დეკემბრისათვის.

მუშაობაში დაწინაურდა მოსამზადებელი საამქრო (უფროსი ცარციძე), რომელიც უკანასკნელ დღეებში გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს. ენერგიული მუშაობით გამოირჩევიან ვ. კოსტავა, მ. ქავქავრაძე, თ. მესხი, მ. კალიგინა, ე. ღონღაძე, ალავაზა, სინაძე და სხვ.

საგრძნობლად გარდაჰქმნა მუშაობა აგრეთვე საქსოვმა საამქრომ. მქსოველთა ბრიგადები, რომლებსაც ორდენოსანი მქსოველი მრავალდაზგოსანი გურაშვილი და ჯიხაძე ხელმძღვანელობენ, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ გეგმებს.

ახალგაზრდა მუშებიდან გამოირჩევიან თ. კოჭლაძე, ნ. ბარჩიძინა, ე. ნადირაძე, მ. რიბაკი და ამერლიშვილი.

ფაბრიკამ 11 თვის დავალება ფულადი გამოხატულებით 101,7 პროცენტით შეასრულა, მაგრამ მთელი რიგი სახეების მიხედვით წლიური გეგმის შესრულება საფრთხეშია.

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ფაბრიკა წლის პირველ ნახევარში მოშეებულად მუშაობდა, ხოლო უკანასკნელ ხანების თავდაუზოგავ საქმეს ვერ უშველა. ამას გარდა, მთელი წლის მანძილზე ვერ მოწესრიგდა ნედლი მასალის რეგულარული მიღება. ამის გამო ცალკეული ბრიგადები და საამქროებიც კი ხშირად კვირაობით ცდებოდნენ. ფაბრიკის ტექნიკური განყოფილება (უფროსი ინჟინერი თევდორაძე) აუჯანრებდა დაზგა-დანადგარების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, რის გამო მოცდენა უდრის 28,926 დაზგა-საათს. დაბალი იყო შრომის დისციპლინა, დგილი ჰქონდა უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანების ხშირ შემთხვევებს, რაც იმის შედეგი იყო, რომ საჭირო ყურადღება არ ექცეოდა ახალმოსულთა პოლიტიკურ და საწარმოო აღზრდას. 336 ახალგაზრდა მუშიდან, რომლებიც ამჟამად ფაბრიკაში ირიცხებიან, ნახევარზე მეტი ნორმას ვერ ასრულებს.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მუშათა საერთო საცხოვრებლების დირექციას ისიც ვერ მოუხერხებია, რომ დამზადებული შეშა და ნახშირი ადგილზე მიეტანა. ძალზე ცუდად მუშაობს ფაბრიკის მუშათა სასადილო.

ყველა ეს და სხვა მრავალი ნაკლი, რაც ახასიათებს ფაბრიკის მუშაობას მიმდინარე წელს, ახლავე უნდა აღმოიფხვრას და წარმატებით შეეხვედით ახალ სამეურნეო წელს.

ფაბრიკის დირექციის, პარტიული, კომკავშირული, პროფესიული ორგანიზაციების ვალია ახლავე მოაწყონ მუშაობა მომავალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე, რომ გეგმას ყველა საამქრო, ყველა ბრიგადა, ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს.

ა. ნინუა

საქართველოს კვების მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

სტალინური კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის საქართველოს კვების მრეწველობამ შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. საერთო გეგმა უცვლელ ფასებში შესრულებულია 100,2 პროცენტით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში—100,1 პროცენტით, ხოლო რაიონული დაქვემდებარების საწარმოებში—103,4 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა კვების მრეწველობის შემდგმა დარგებმა: პურის საცხობმა (საქართველოს პურტრესტის დირექტორი ამხ. ხოხიტა) —118,2 პროცენტით, თამბაქოს მრეწველობამ (საქართველოს თამბაქოს ტრესტის მმართველი ამხ. აკოფოვი) —110,4, კარაქის მრეწველობამ (ქარხნის დირექტორი ამხ. ფილიპოვი) — 122,7, შაქაროსნის წარმოებამ (ფაბრიკის დირექტორი ამხ. სავინა)—134,8, საანის მრეწველობამ (ქარხნის დირექტორი ამხ. სტეფანოვი)—109,7 პროცენტით.

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მრეწველობამ უცვლელ ფასებში გეგმა შეასრულა 100,3 პროცენტით. სამაჭარაშო მრეწველობამ—121 პროცენტით. მიუხედავად ამისა, „საქართველოს ლუდისა და ლიმონათის“ ტრესტმა და საშაქარაშო მრეწველობის საწარმოებმა ვერ შეასრულეს გეგმა ნატურით. საშაქარაშო მრეწველობამ გეგმა ნატურით შეასრულა 95,2 პროცენტით, ხოლო უალკოჰოლო სასმელების გამოშვების გეგმა შესრულებულია 78 პროცენტით.

იმ ტრესტების ცალკე საწარმოებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმა, აქვთ ავტრეთვე ჩამორჩენა. ასე, მაგალითად, „საქართველოს თამბაქოს“ ტრესტის ქალაქის ფაბრიკამ (დირექტორი ჭყონია) გეგმა მხოლოდ 51,5 პროცენტით შეასრულა; ბათუმის საშაქარაშო ფაბრიკამ (დირექტორი პანინიდი) გეგმა მხოლოდ 72,7 პროცენტით შეასრულა.

ჯერჯერობით გეგმები შესრულებული არა აქვთ როგორც უცვლელ ფასებში, ისე ნატურით ტრესტ „საქართველოს ჩაის“ და „სამტრესტს“.

გეგმის შესრულებაში დიდი ჩამორჩენა აქვთ საქართველოს მანრალური წყლების ჩამომსხმელ საწარმოებს.

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოებს აქვთ ყოველგვარი შესაძლებლობა დეკემბრის დარჩენილ დღეებში გადაჭარბებით შეასრულონ მთავრობის დავალება.

დღის ამბები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ჰოლანდიაში სახმელეთო ჯარების ოპერაციები პატრულთა მოქმედებით განსაზღვრებოდა. პურტუგენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე წერტილში გადალახეს წყალსადინარი. ბელგიაში მოკავშირეთა ჯარების ნაწილებმა მიაღწიეს ტანას, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს.

7 დეკემბერს ღამით მსუბუქი ბომბდამშენები თავს დაესხნენ კელნს.

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში ქალაქ ფაენცის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა მდინარე ლამონეზე ხიდწინა სიმაგრე გააფართოვეს. მე-5 არმიის ნაწილები წინსვლას განაგრძობდნენ და რაღენიმე ზღუდე დაიკავეს. ფრონტის დანარჩენ უბნებზე მოკავშირეთა ჯარების ოპერაციები პატრულების მოქმედებით განისაზღვრებოდა.

7 დეკემბერს მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დაბომბეს მტრის კომუნიკაციები მდინარე პოს ველზე და ბრენერის უღელტეხილზე. წუხელ მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ სამრეწველო საწარმოებს ვენაში.

„მანჩესტერ გარდიანი“ აკრიტიკებს ინგლისელთა პოლიტიკას იტალიაში

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ მიხედვით, რომ იტალიაში მთავრობის კრიზისის თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების მიზეზი არის ელჩი, რომელიც ინგლისის მთავრობამ დაიდო გრაფ სფორცას კანდიდატურას. ამ ვითომ განკრიტიკება ორნაირად შეიძლება. აცხადებს გაზეთი: „ჯერ ერთი, იმიტომ რომ იგი საერთოდ დადებულ იქნა, და, მეორე, იმიტომ, რომ იგი დადებულ იქნა ამერიკელებთან კონსულტაციის გარეშე“.

„მანჩესტერ გარდიანი“ ეხება ილების განცხადების იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საკონტროლო კომისიის წევრი ამერიკელები „ინფორმირებული იყვნენ“ ინგლისელთა გადაწყვეტილების შესახებ და აცხადებს: „არაა ხალმე „კონსულტაცია“ მოკლენამდე და „ინფორმაცია“ მომხდარი მოვლენის შემდეგ, რაც გამომძიებელთა კიდევაც სახელმწიფო დეპარტამენტის შეურაცხყოფილი პროტესტით, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ არა იმას, რომ გავატარით ისეთი ინგლისური პოლიტიკა, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში არ ჰგმობენ ჩვენი მოკავშირენი, არამედ უნდა ვცდილობდეთ სამოკავშირო პოლიტიკის გატარებას მოკავშირეთა სრული მხარდაჭერით. შეიძლება ვიკითხოთ, მაშ რისთვისღა არსებობს ინგლის-ამერიკის საკონტროლო კომისია? გარდა ამისა, არის აგრეთვე საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც წარმოდგენილი არიან ინგლისი, რუსეთი, შეერთებული შტატები და საფრანგეთი“.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკელთა ახალი დესანტის გადასხმა ლეიტეს კუნძულზე

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ ლეიტეს კუნძულზე ამერიკელთა მე-7 დივიზიის ნაწილები ავიაციისა და ფლოტის დახმარებით გადასხდნენ იაპონელთა პოზიციების ზურგში სამ პუნქტში ქალაქ ორმოკის სამხრეთით და დაუყოვნებლივ დაიწყეს შეტევა ჩრდილოეთისაკენ. გადასხმა თავს დაატყდა იაპონელების მოულოდნელად, ამჟამად მათ რეზერვები გამოჰყავთ ბრძოლაში და ცდილობენ შეაჩერონ ამერიკელთა ჯარების შეტევა ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. იაპონელთა ჯარების პოზიციები შეადგენს გაჭრილი და ამერიკელები აწვებიან მთელი ფრონტით.

ამერიკელთა დესანტების გადასხმისთანავე აღმოჩენილ იქნა იაპონელთა გემების ქარავანი უზარმაზარ ტრანსპორტებსა და შვიდი სატრანსპორტო ნაღმოსნის შემადგენლობით და მაშინვე რაც ძალები. მოკავშირეთა ავიაციამ დაუყოვნებლივ მიიტანა იერიში ამ ქარავანზე, მაშინ როდესაც იაპონელთა ავიაციამ იმავე დროს იერიში მიიტანა მოკავშირეთა საბრძოლო ბადრაგზე. იაპონელთა ცამეტივე გემი ჩაძირულ იქნა, სანამ მათ განტვირთავდნენ. დაიღუპა 4.000-მდე იაპონელი ჯარისკაცი. ტორპედოთი მძიმედ დაზიანდა მოკავშირეთა საბრძოლო ნაღმოსანი და მცირე ტრანსპორტი, რომლებიც თავიანთმა ეკიპაჟებმა ჩაძირეს. ბრძოლებში ჩამოგდებულია იაპონელთა 62 თვითმფრინავი. იმავე დღის მოკავშირეთა ავიაციამ ჩაძირა კიდევ 10 მცირე გემი იაპონელთა ჯარებისად..

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ნაშუაღამს, 12 დეკემბერს, დღის 12 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება აწყობს პროფესორ დ. ე. არაყიშვილის მოხსენებას თემაზე: „ოსური ხალხური სიმღერა“.

მოხსენება შესდგება მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8). დასწრება თავისუფალია.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

10 დეკემბერს, 2 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების კრებაზე, საზოგადოების სხდომათა დარბაზში (ლ. კეცხოველის, № 11) ჩატარდება პიონერთა სასახლის გეოგრაფიის კაბინეტის ღია სხდომა. მოხსენებებს წაიკითხავენ თბილისის სკოლების მოწაფეები თემაზე: **„ამერიკის შეერთებული შტატები“**. სხდომის შემდეგ მოეწყობა აზრთა ცვლა-გამოცვლა სასკოლო გეოგრაფიული წრეების მუშაობის შესახებ. დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

9 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა—„აბესალომ და ეთერი“. **რუსთაველის სახელობის**—„ღალატი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—„პირველი ცოლის მორჯულება“. **სომხური**—„ღალატი“. **ახუნდოვის სახელობის**—„ასლი და ქერიმი“. **მუსკომედიის**—„როზ-მარი“. **სანკულტურის**—„სევდიანი რომანი“. **მოზარდ მაყურებელთა**—რუსული—„შინაურები ვართ, მოვრიგდებით“. **თოჯინების ქართული**—„ჭარიზხალში“ და „ბებია დარეჯანის ზღაპრები“. **10 დეკემბერს**—სამი წარმოდგენა „ნანა ტყეში“.

კინოებში

9 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის—„სიმღერა რუსეთზე“. **ოქტომბერი**—„ძველ ჩიკაგოში“. **დამკვრელი**—„სამი მუშკეტერი“, „გამარჯვება სამხრეთში“. **კომკავშირელი**—„ზღვის ქორი“. **ლუკსემბურგის სახელობის**—„მხიარული ახალგაზრდობა“. **სპარტაკი**—„წყალქვეშა ნავი ტ-9“. **26 კომისრის სახელობის**—„დათვი“, „ნიღაბი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოზარდ მაყურებელთა თეატრი
9 დეკემბერს — 10 დეკემბერს
აბონემენტი № 32 — აბონემენტი № 17
ქ. გოგიაშვილი — პრემიერა
ფარავნელი ჭაბუკი
ზოგადი 4 მოქმედებად და 7 სურათად.
დადგმა თ. წეროძისა, მხატვარი ს. გაბაშვილი, კომპოზიტორი კერესელიძე.
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი
კვირას, 10 დეკემბერს დღის 2 საათზე
ფეხბურთი
საფინალო მატჩი
სტალინური კონსტიტუციის საბჭოლობის თასზე.

ნინო ჯიბლაძე შვილებით იუწყება, რომ 10/XII, 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია **ვლასი ალექსანდრეს-ძე ჯიბლაძის** პანაშვიდი.

მეუღლე დიმიტრი, შვილები დავით, სოფიო, რძალი ვენერა, სიძე ე. გვერდწითელი იუწყებიან, რომ 10/XII, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ანა მაჭსიმეს-ასულ ბერიძის** პანაშვიდი.

რუსუდან ყარაულაშვილი და რუსუდან გეგელიძე ოჯახებით იუწყებიან ირაკლი და ნანო ანდრონიკაშვილების შვილს **ნანულის** გარდაცვალებას.

აღიოშა და გულიკო შულაიები დედით იუწყებიან, რომ 10/XII, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია **სიძის გენო რაიზერის** პანაშვიდი.

ვლადიმერ ცომაია და სერგო ცომაია ოჯახობით იუწყებიან, რომ 10/XII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ლინა კორილეს-ასულ ცომაიას** პანაშვიდი.

ჭაჭუ, გიორგი ოჯახით, ლება, ქსენია, თამარ ფაჩულიები იუწყებიან **ვარლამ ხუბულავას** გარდაცვალებას.

შვილები არკადი, სევერიანე, სიმონ, კირილე, ანეტა, რძალი პოლისანდრა, შვილიშვილები თამარ, დავით ნადარეიშვილები ოჯახებით იუწყებიან **მაია ნადარეიშვილის** გარდაცვალებას.

ბალავა და ზინა ჯაშები იუწყებიან **გრიშა ისაიას-ძე ლომიძის** გარდაცვალებას დაკრძალვა ქუთაისში, 10/XII.

მოჭადრაკე **ვერა დენისის-ასულმა ბეზმაგარინაიამ**, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 117, აღძრა საქმე ფიროსმანის ქ. № 18 მცხოვრებ **გიორგი ივანეს-ძე არხაროვთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოში.

გალაქტიონ და შალვა ხახუბიები ოჯახებით და დედით იუწყებიან სიძის **რეზო ცხვარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10/XII, 3 ს. საბჭოს, 123.

მეუღლე თამარ, შვილები ვენერა, შალვა, დედა ნინო, და ნატაშა შვილით იუწყებიან **არტაშ ჩახმახსაზოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/XII, 7 ს. გამოსვენება 10/XII, 3 ს. ფაბრიკის ჩიხი, 5.

დედა ფოტინე, მამიდა გაიანე, სიძე სარდიონ ლებანიძე იუწყებიან **კატო ინასარიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10/XII, 4 ს. ქალაქის II საავადმყოფოდან.

ყილ-ყურის და ცხვირის კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **სამსონ ფანჯავიძის** გარდაცვალებას.

ძმა გრიგოლ, რძალი ოლია, ძმისწულები ვახტანგ, ირაკლი იუწყებიან **ივლიანე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10/XII, 2 ს. პლეხანოვის, 97.

შვილი დოდო, სიძე გიგა დათეშვილი იუწყებიან **ივლიანე მიხეილის-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/XII, 2 ს. პლეხანოვის პრ. № 97.

სწავლობენ დიდი სჯალინის ისტორიულ მოხსენებას

ჭუთაისის მშრომელები დიდი ინტერესით შეუდგნენ ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას.

ალ. წულუკიძის სახელობის პარტკაბინეტში აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნარსიამ გააკეთა საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: „ამხანაგ სტალინის მოხსენება ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა“. 25 ნოემბერს პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის მოეწყო ლექცია თემაზე: „ომის უკანასკნელ ეტაპზე“. რომელიც წაიკითხა ხალართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა ამხ. ნ. რუბენმა. ეს ლექცია მოისმინეს აგრეთვე საკონსერვო ქარხნის, მაუდის ფაბრიკის და რაიონპუნის მუშა-მოსამსახურეებმა.

ბედავგიერ ინსტიტუტში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში, აბრეშუმკომბინატში, მაუდის ფაბრიკაში და ქუთაისის მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებებში ჩატარდა პარტიული კრებები დღის წესრიგით — „ამხანაგ სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ და ჩვენი ამოცანები“.

საწარმო-დაწესებულებათან ჩამოყალიბებული მომდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეები უკვე შეუდგნენ ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების შესწავლას. პირველი მეცადინეობა ლიტოპონისა და საკონსერვო ქარხნებში ჩატარდა.

პოლიტწრეების ხელმძღვანელებისა და დიდი სტალინის მოხსენების დამოუკიდებლად შემსწავლელებისათვის აღ. წულუკიძის სახელობის პარტკაბინეტში ეწყობა კონსულტაციები. 25 ნოემბრიდან დღემდე ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების გამო ჩატარებულია 140-მდე ინდივიდუალური და 8 ჯგუფური კონსულტაცია.

პარტკაბინეტი აწყობს მოხსენებებს თემებზე: „დიდი სამამულო ომის მეოთხე წელი ჯერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლების წელია“, „გერმანია ორი ფრონტის მარწუხში“, „ჰიტლერული გერმანიის მორალურ-პოლიტიკური დამარცხება ომის მსვლელობაში“ და სხვ.

რ. ბეროძე

რუსული მედიცინის როლი მსოფლიო მეცნიერებაში

მოსკოვში გაიხსნა მოსკოვის პირველი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიერ მოწვეული სამეცნიერო სესია. მასში მონაწილეობას იღებენ ინსტიტუტის პროფესორები და მასწავლებლები, დედაქალაქის გამოჩენილი მეცნიერები. რუსული მედიცინის განვითარების გზებისა და მის მიერ მსოფლიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. გ. ა. მიტერევმა.

სესიაზე მოსმენილ იქნება 12 სამეცნიერო მოხსენება, რომლებიც დაწვრილებით აშუქებენ რუსული მედიცინის ძირითად დარგებს და მის როლს მსოფლიო მეცნიერებაში. (საკდესი).

. კიდევ ერთი მარჯვენის ღუმელი

„სოიუზტეპლოსტროის“ ლენინგრადის კოლექტივმა, რომელიც კიროვის ქარხანაში მარტენის ღუმელების აღდგენაზე მუშაობს, ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა: მწყობრში ჩადგა № 6 მძლავრი მარტენის ღუმელი. სულ წელს „ტეპლოსტროელებმა“ 3 მარტენის ღუმელი აღადგინეს ქარხანაში. (საკდესი).

ვიღნიუსის აღდგენის გეგმა

მშრომელთა დეპუტატების გოლნიუსის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიამ შეადგინა 1945 წლის აღდგენითი სამუშაოების გეგმა. ფართო მასშტაბით გაჩაღდება კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა — სკოლების, საბავშვო ბაღების. პოლიკლინიკების, ბავშვთა და ტუბერკულოზიანთა სანატორიუმების შენობებ